

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მეგობრობა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგობრობა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-19
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადების საფუძველი.....	8
2.1. კონსოლიდაციის საფუძველი	9
2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები კონსოლიდაციის პრინციპები.....	9
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	13
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14
შენიშვნა 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
შენიშვნა 8. სხვა შემოსავლები	14
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	15
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	16
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	16
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	16
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
შენიშვნა 14. პირობითი ვალდებულებები.....	16
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	17
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	17
შენიშვნა 17. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცება.....	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგობრობა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მეგობრობი“-ს 400015032 ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 თებერვალი.

ხელმძღვანელობის სახელით:



მამუკა არევაძე

დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგობრობა" 400015032
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	24,971,058	16,899,590
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(12,493,579)	(7,887,771)
მომსახურებიდან მიღებული საერთო მოგება		12,477,479	9,011,819
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო ადმინისტრაციული ხარჯი		(409,575)	(346,341)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი		(261,306)	(358,075)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(372,216)	(304,765)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		11,434,382	8,002,638
სხვა შემოსავალი	8	2,051,516	850,541
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება_ზარალი		(46,596)	(657,769)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		13,439,302	8,195,410
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,409,487)	(110,227)
წლის (ზარალი)/მოგება		12,029,815	8,085,183

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა"
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,718,691	1,725,668
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,718,691	1,725,668
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	22,769,439	25,607,388
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	976,238	2,436,249
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	17,127,825	17,055,096
საგადასახადო აქტივები		1,625,251	2,090,167
სულ მიმდინარე აქტივები		42,498,753	47,188,900
სულ აქტივები:		44,217,444	48,914,568
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		52,910	1,847,375
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		35,603,417	31,467,000
სულ საკუთარი კაპიტალი		35,656,327	33,314,375
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	8,561,117	15,600,193
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,561,117	15,600,193
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		44,217,444	48,914,568

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა"
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31-Dec-21	178,600	24,005,736	24,184,336
გაცემული დივიდენდები		(623,919)	(623,919)
მოგება წლის განმავლობაში		8,085,183	8,085,183
კაპიტალის ზრდა	1,668,775		1,668,775
31-Dec-22	1,847,375	31,467,000	33,314,375
გაცემული დივიდენდები		(7,893,398)	(7,893,398)
მოგება წლის განმავლობაში		12,029,815	12,029,815
კაპიტალის კლება	(1,794,465)	-	(1,794,465)
31-Dec-23	52,910	35,603,417	35,656,327

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა"
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	22,146,433	25,912,612
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(8,310,329)	(8,797,693)
გადახდილი გადასახადები	(4,578,337)	(3,549,994)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	9,257,767	13,564,925
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(7,489,452)	(592,723)
მიღებული პროცენტები	178,868	-
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(79,989)	(145,667)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(1,794,465)	1,668,775
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(9,185,038)	930,385
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	72,729	14,495,310
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	17,055,096	2,559,786
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	17,127,825	17,055,096

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მალბაზ ფარულავა
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგობრობა"

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეგობრობა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჩარგლის ქ., N79 (ნაკვეთი N1/55) სადარბაზო 2 სართული 4, ბინა N22 ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი თბილისი გურამიშვილის 66ა. საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდია 400015032. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი : მამუკა არევაძეს (56001003302) -- მიერ - 100%.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

საწარმოს ჰყავს შეიღობილი საწარმო შპს „მეგობრობა სამეურნეო“ (ს/ნ 400317037), რომელშიც მკონტროლებელი წილი 100%-ს შეადგენს რომლის დაფუძნების თარიღია 2021 წლის 06 სექტემბერი. ხოლო მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

2021 წელს მოთხოვნა შედარებით გაიზარდა კომპანიის პროდუქტებზე წინა წლებთან შედარებით, რაც განაპირობა სამშენებლო სამუშაოების ბაზრების გახსნამ, შედეგად წარმოება და მოთხოვნა გაიზარდა, რადგან კომპანიის პროდუქცია არის სამშენებლო სამუშაოების განუყოფელი ნაწილი.

უწყვეტობის პრინციპი


საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორცაა კარანტინი, ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი



მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი



2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგობრობა"

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნა დადებითი დინამიკა პანდემიიდან აღდგენის კუთხით. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასების არსებობა განაპირობებს ინფლაციას საქართველოში. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიაზე შემცირდა.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება შპს „მეგობრობა“ და მისი შვილობილი კომპანიების შპს „მეგობრობა სამეურნეო“-ს (ს/ნ 400317037) და შპს მეგობრობა ორთაჭალის (ს/ნ -----) ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

კომპანიის შესახებ ინფორმაცია:	2023	2022
შპს „მეგობრობა სამეურნეო“-ს (ს/ნ 400317037)	100%	100 %
შპს „მეგობრობა ორთაჭალა“-ს (ს/ნ -----)	100%	100%

შპს „მეგობრობა სამეურნეო“-ს საქმიანობის სფეროა საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით

შპს „მეგობრობა ორთაჭალა“-ს საქმიანობის სფეროა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოსამზადებლად:

ა) გაერთიანებულია შპს „მეგობრობი“-სა და მისი შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) გამოირიცხულია შვილობილ საწარმოში შპს „მეგობრობი“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და შპს „მეგობრობი“-ს წილი შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა "

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მალბაზ ფარულავა
ბუღალტერი



8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა "

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაციის წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტი-


ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი



2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მაღალაზ ფარულავა
ბუღალტერი



8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა "

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგობრობა"

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(*ქართულ ლარში*)

ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბრის, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარწმუნოდა სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შენიშვნა 5. ამონაგები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	24,971,058	16,899,590

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი



მალბაზ ფარულავა
ბუღალტერი



2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა "

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ჯამი	24971058	16899590
------	----------	----------

შენიშვნა 6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	31.12.2023	31.12.2022
ცვეთა და ამორტიზაცია	124753	132277
შრომის ანაზღაურება	35094	96783
ნედლეული და მასალები	12261658	7549822
კომუნალური მომსახურების ხარჯი	10411	48765
სხვადასხვა მომსახურებები	54211	48591
საპენსიო ანარიცხები	7452	11533
სულ	12493579	7887771

შენიშვნა 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2023	31.12.2022
სხვა საერთო ხარჯი	13861	50393
სამეურნეო ხარჯი	177369	127474
დაცვის ხარჯი	26949	44153
საკონსულტაციო ხარჯი	14524	46685
ცვეთა და ამორტიზაცია	14036	14697
საწვავის ხარჯი	320	11053
დაზღვევის ხარჯი	23594	3922
ბანკის საკომისიო	17805	2077
საკანცელარიო ხარჯი	9511	1122
კომპიუტერის ხარჯი	15275	866
საგადასახადო ხარჯი	2737	150
კომუნიკაციის მომსახურების ხარჯი	56235	2173
ჯამი	372,216	304,765

შენიშვნა 8. სხვა შემოსავლები

	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო შემოსავლები	1,746,872	732325
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო შეღავათი)	-	101695
სხვადასხვა შემოსავლები	304,644	16521
ჯამი	2,051,516	850,541

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს ბანკში მოკლევადიან დეპოზიტზე დარიცხულ პროცენტს.

ხელმძღვანელობის სახელით:


მამუკა არევაძე

დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მალბაზ ფარულავა
ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგობრობა"
კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(*ქართული ლარი*)
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	მიწის ნაკვეთები	შენიშვნა - ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	633720	677325	260286	14836	151664	226283	1964114
შემოსვლა	-	107,248	426,138	10,847	15,362	75,536	635,131
გასვლა	(433,720)	-	(134,377)	-	-	(14,300)	(582,397)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	200,000	784,573	552,047	25,683	167,026	287,519	2,016,848
შემოსვლა	-	-	123,211	2,711	5,890	-	131,812
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	200000	784573	675258	28394	172916	287519	2148659.52
დაგროვილი ცვთა და გაუფასურება							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	(39,037)	(111,237)	(1,960)	(35,194)	0	(187,428)
მიმდინარე წლის ცვთა	-	(33,041)	(56,418)	(2,895)	(29,524)	(34,293)	(156,171)
ცვთის ამობრუნება	-	-	53,152	-	-	(733)	52,419
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(72,078)	(114,503)	(4,855)	(64,718)	(35,026)	(291,180)
მიმდინარე წლის ცვთა	-	(35,910)	(25,572)	(5,027)	(32,205)	(40,075)	(138,789)
ცვთის ამობრუნება	-	0	0	0	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(107,988)	(140,075)	(9,882)	(96,923)	(75,101)	(429,969)
საბალანსო ღირებულება 2021	633720	638288	149049	12876	116470	226283	1776686
საბალანსო ღირებულება 2022	200000	712495	437544	20828	102308	252493	1725668
საბალანსო ღირებულება 2023	200000	676585	535183	18512	75993	212418	1718691

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასხადილი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მიანაწილებს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი: მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, ოურიდული და საპროცერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო (ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანაშნულ-ლების ადგილამდე მიტანასა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რის ვალდებულებაც საწარმო ამოღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არგვაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა "

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	6,179	287,647
მასალა და წედლეული	2,296	* 26,334
დაუმთავრებელი წარმოება	22,754,541	25,279,377
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	6,423	14,030
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	22,769,439	25,607,388

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	423,065	427,415
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0,00	1,38
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	553,173	2,008,834
ჯამი	976,238	2,436,249

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	34
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	17016636	15593228
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	111189	1461834
ჯამი	17,127,825	17,055,096

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მოწო.და მომსა.წარმოქმნილი ვალდებულებები	152,218	246,439
მიღებული ავანსები	8,400,002	15,352,248
სხვა ვალდებულებები	8,897	1,506
ჯამი	8,561,117	15,600,193

შენიშვნა 14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.


ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი




მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა "

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან და საბოლოო მაკონტროლებელი პირებისაგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	უმაღლესი	შვილობილ
	ხელმძღვანელობა	კომპანიასთან
მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	134,286	3,094
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საქონლის შეძენა/მომსახურების მიღება	4,629	25,007

შენიშვნა 17. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცება

2023 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის	წარმოდგენილი	ფინანსური
ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 თებერვალს		

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მალბაზ ფარულავა
ბუღალტერი

8-19 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მეგობრობა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგობრობა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-19
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადების საფუძველი.....	8
2.1. კონსოლიდაციის საფუძველი	9
2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები კონსოლიდაციის პრინციპები	9
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	13
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14
შენიშვნა 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
შენიშვნა 8. სხვა შემოსავლები	14
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	15
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	16
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	16
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 14. პირობითი ვალდებულებები.....	16
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	17
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	17
შენიშვნა 17. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცება.....	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგობრობა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მეგობრობა“-ს 400015032 ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ **2025 წლის 25 თებერვალი**.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე

დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "მეგობრობა" 400015032
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	24,971,058	16,899,590
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(12,493,579)	(7,887,771)
მომსახურებიდან მიღებული საერთო მოგება		12,477,479	9,011,819
დაქირავებულ პირთა გასამრჯელო ადმინისტრაციული ხარჯი		(409,575)	(346,341)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი		(261,306)	(358,075)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(372,216)	(304,765)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		11,434,382	8,002,638
სხვა შემოსავალი	8	2,051,516	850,541
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება_ზარალი		(46,596)	(657,769)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		13,439,302	8,195,410
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,409,487)	(110,227)
წლის (ზარალი)/მოგება		12,029,815	8,085,183

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა"
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,718,691	1,725,668
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,718,691	1,725,668
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	22,769,439	25,607,388
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	976,238	2,436,249
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	17,127,825	17,055,096
საგადასახადო აქტივები		1,625,251	2,090,167
სულ მიმდინარე აქტივები		42,498,753	47,188,900
სულ აქტივები:		44,217,444	48,914,568
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		52,910	1,847,375
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		35,603,417	31,467,000
სულ საკუთარი კაპიტალი		35,656,327	33,314,375
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	8,561,117	15,600,193
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		8,561,117	15,600,193
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		44,217,444	48,914,568

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა ”
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31-Dec-21	178,600	24,005,736	24,184,336
გაცემული დივიდენდები		(623,919)	(623,919)
მოგება წლის განმავლობაში		8,085,183	8,085,183
კაპიტალის ზრდა	1,668,775		1,668,775
31-Dec-22	1,847,375	31,467,000	33,314,375
გაცემული დივიდენდები		(7,893,398)	(7,893,398)
მოგება წლის განმავლობაში		12,029,815	12,029,815
კაპიტალის კლება	(1,794,465)	-	(1,794,465)
31-Dec-23	52,910	35,603,417	35,656,327

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " მეგობრობა"
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	22,146,433	25,912,612
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(8,310,329)	(8,797,693)
გადახდილი გადასახადები	(4,578,337)	(3,549,994)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	9,257,767	13,564,925
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(7,489,452)	(592,723)
მიღებული პროცენტები	178,868	-
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(79,989)	(145,667)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(1,794,465)	1,668,775
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(9,185,038)	930,385
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	72,729	14,495,310
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	17,055,096	2,559,786
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	17,127,825	17,055,096

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(*ქართულ ლარში*)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეგობრობა” შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჩარგლის ქ., N79 (ნაკვეთი N1/55) სადარბაზო 2 სართული 4, ბინა N22 ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი თბილისი გურამიშვილის 66ა. საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდია 400015032. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი : მამუკა არევაძეს (56001003302) - მიერ - 100%.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

საწარმოს ჰყავს შვილობილი საწარმო შპს „მეგობრობა სამეურნეო” (ს/ნ 400317037), რომელშიც მაკონტროლებელი წილი 100%-ს შეადგენს რომლის დაფუძნების თარიღია 2021 წლის 06 სექტემბერი. ხოლო მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები, როგორცაა, საქართველო, სწრაფ ცვლილებას განიცდის და მგრძნობიარეა გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ. აღნიშნულის შედეგად, ოპერაციები საქართველოში შეიძლება ექვემდებარებოდეს გარკვეულ რისკებს, რომლებიც როგორც წესი, არაა დაკავშირებული განვითარებულ ბაზრებზე არსებულ რისკებთან. მიუხედავად ამისა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რიგი სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო საინვესტიციო კლიმატზე.

2021 წელს მოთხოვნა შედარებით გაიზარდა კომპანიის პროდუქტებზე წინა წლებთან შედარებით, რაც განაპირობა სამშენებლო სამუშაოების ბაზრების გახსნამ, შედეგად წარმოება და მოთხოვნა გაიზარდა, რადგან კომპანიის პროდუქცია არის სამშენებლო სამუშაოების განუყოფელი ნაწილი.

უწყებების პრინციპი

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად.

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა Covid-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა შეზღუდვები, როგორცაა კარანტინი, ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მაღბაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომენდანტის საათი, შეზღუდვები საერთაშორისო ფრენებზე და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის საქმიანობაზე. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკაში აღინიშნა დადებითი დინამიკა პანდემიიდან აღდგენის კუთხით. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა და ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე. თუმცა საქართველოსა და მსოფლიოში გარკვეულ ბაზრებზე მაღალი ფასების არსებობა განაპირობებს ინფლაციას საქართველოში. კომპანიის მმართველობამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა შეემცირებინა პანდემიის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ადმინისტრაციული სამსახური გადავიდა დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწარმოში საოპერაციო პროცესი შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიაზე შემცირდა.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს სექტორზე და ფართო ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობა მიიჩნევს, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება შპს „მეგობრობა“ და მისი შვილობილი კომპანიების შპს „მეგობრობა სამეურნეო“-ს (ს/ნ 400317037) და შპს მეგობრობა ორთაჭალის (ს/ნ -----) ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

კომპანიის შესახებ ინფორმაცია:	2023	2022
შპს „მეგობრობა სამეურნეო“-ს (ს/ნ 400317037)	100%	100 %
შპს „მეგობრობა ორთაჭალა“-ს (ს/ნ -----)	100%	100%

შპს „მეგობრობა სამეურნეო“-ს საქმიანობის სფეროა საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით

შპს „მეგობრობა ორთაჭალა“-ს საქმიანობის სფეროა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოსამზადებლად:

- ა) გაერთიანებულია შპს „მეგობრობი“-სა და მისი შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- ბ) გამორიცხულია შვილობილ საწარმოში შპს „მეგობრობი“-ს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და შპს „მეგობრობი“-ს წილი შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;

შენიშვნა 3. საადრიცხო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მაღახო ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდ ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტი-

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აგროსილზე’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება.

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არა არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში სახით არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს მოუტანენ კომპანიას. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შენიშვნა 5. ამონაგები

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	24,971,058	16,899,590

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მაღნაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ჯამი	24971058	16899590
-------------	-----------------	-----------------

შენიშვნა 6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	31.12.2023	31.12.2022
ცვეთა და ამორტიზაცია	124753	132277
შრომის ანაზღაურება	35094	96783
ნედლეული და მასალები	12261658	7549822
კომუნალური მომსახურების ხარჯი	10411	48765
სხვადასხვა მომსახურებები	54211	48591
საპენსიო ანარიცხები	7452	11533
სულ	12493579	7887771

შენიშვნა 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2023	31.12.2022
სხვა საერთო ხარჯი	13861	50393
სამეურნეო ხარჯი	177369	127474
დაცვის ხარჯი	26949	44153
საკონსულტაციო ხარჯი	14524	46685
ცვეთა და ამორტიზაცია	14036	14697
საწვავის ხარჯი	320	11053
დაზღვევის ხარჯი	23594	3922
ბანკის საკომისიო	17805	2077
საკანცელარიო ხარჯი	9511	1122
კომპიუტერის ხარჯი	15275	866
საგადასახადო ხარჯი	2737	150
კომუნიკაციის მომსახურების ხარჯი	56235	2173
ჯამი	372,216	304,765

შენიშვნა 8. სხვა შემოსავლები

	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო შემოსავლები	1,746,872	732325
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო შეღავათი)	-	101695
სხვადასხვა შემოსავლები	304,644	16521
ჯამი	2,051,516	850,541

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს ბანკში მოკლევადიან დეპოზიტზე დარიცხულ პროცენტს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”
 კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)
 შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	მიწის ნაკვეთები	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	633720	677325	260286	14836	151664	226283	1964114
შემოსვლა	-	107,248	426,138	10,847	15,362	75,536	635,131
გასვლა	(433,720)	-	(134,377)	-	-	(14,300)	(582,397)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	200,000	784,573	552,047	25,683	167,026	287,519	2,016,848
შემოსვლა	-	-	123,211	2,711	5,890	-	131,812
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	200000	784573	675258	28394	172916	287519	2148659.52
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	(39,037)	(111,237)	(1,960)	(35,194)	0	(187,428)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(33,041)	(56,418)	(2,895)	(29,524)	(34,293)	(156,171)
ცვეთის ამობრუნება	-	-	53,152	-	-	(733)	52,419
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(72,078)	(114,503)	(4,855)	(64,718)	(35,026)	(291,180)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(35,910)	(25,572)	(5,027)	(32,205)	(40,075)	(138,789)
ცვეთის ამობრუნება	-	0	0	0	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(107,988)	(140,075)	(9,882)	(96,923)	(75,101)	(429,969)
საბალანსო ღირებულება 2021	633720	638288	149049	12876	116470	226283	1776686
საბალანსო ღირებულება 2022	200000	712495	437544	20828	102308	252493	1725668
საბალანსო ღირებულება 2023	200000	676585	535183	18512	75993	212418	1718691

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი: მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო (ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულ-ლების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
 დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
 თბილისი, საქართველო

მალხაზ ფარულავა
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	6,179	287,647
მასალა და ნედლეული	2,296	26,334
დაუმთავრებელი წარმოება	22,754,541	25,279,377
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	6,423	14,030
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	22,769,439	25,607,388

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	423,065	427,415
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	0,00	1,38
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	553,173	2,008,834
ჯამი	976,238	2,436,249

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	34
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	17016636	15593228
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	111189	1461834
ჯამი	17,127,825	17,055,096

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მოწო.და მომსა.წარმოქმნილი ვალდებულებები	152,218	246,439
მიღებული ავანსები	8,400,002	15,352,248
სხვა ვალდებულებები	8,897	1,506
ჯამი	8,561,117	15,600,193

შენიშვნა 14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მაღაზი ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” მეგობრობა ”

კონსოლიდირებული ახსნა განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის საზღვართან დაჯგუფების შემდეგ რუსულმა სამხედრო ძალებმა გადაჭრეს საზღვარი. ხსენებული კონფლიქტი წარმოადგენს უდიდეს სამხედრო შეტაკებას ევროპის სახელმწიფოში მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მოვლენამ გამოიწვია ლტოლვილების კრიზისი ევროპაში, რადგან ომის დაწყების შემდეგ მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი სამშობლო. უკრაინასთან ომის გამო ბევრმა წამყვანმა სახელმწიფომ და ეკონომიკურმა კავშირმა მწვავე ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს და აღინიშნა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, აგრეთვე დაეცა ფასი მნიშვნელოვნად ფასიან ქაღალდებზე რუსულ ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებულ რუსული კომპანიების შემთხვევაში. ბევრმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან ბელარუსში გადაიტანა. სიტუაცია კვლავ რთულია. მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და დანარჩენ მსოფლიოში.

კომპანია უკრაინაში არსებულ კონფლიქტს მიიჩნევს არაკორექტირებად მოვლენად, რომელიც ბალანსის შედგენის შემდგომ მიმდინარეობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მას არ ექნება საგრძნობი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

რადგან კონფლიქტი გრძელდება, ძნელია იმ სრული გავლენის შეფასება, რომელიც მას შესაძლოა ქონდეს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან გაურკვეველია მისი გავლენა ეკონომიკაზე ზოგადად. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციას არსებულ გარემოში.

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან და საბოლოო მაკონტროლებელი პირებისაგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	შვილობილ კომპანიასთან
მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	134,286	3,094
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საქონლის შეძენა/მომსახურების მიღება	4,629	25,007

შენიშვნა 17. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცება

2023	წლის	31	დეკემბრით	დამთავრებული	წლისათვის	წარმოდგენილი	ფინანსური
ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 თებერვალს							

ხელმძღვანელობის სახელით:

მამუკა არევაძე
დირექტორი

მალხაზ ფარულავა
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო